

ტრანსნაციონალური და ინტერდისციპლინარული ასპექტები ანტიკური და თანამედროვე მედეას ფენომენში

წერეთელი ვერა

ბუაძე ნინო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.61>

აბსტრაქტი. ძველბერძნული მითოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა კოლხმა მედეამ იმთავითვე დაარღვია ლოკაციისა და მკვეთრად გამოხატული ნაციოცენტრიზმის საზღვრები და იგი მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ არქეტიპად ჩამოყალიბდა.

აიეტის ასული, რომელმაც დაუსრულებელი პლურალიზმით სივრცული ზღუდეებიც მოშალა, ინტერდისციპლინარულ ფენომენად მოგველინა. მედეა ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, სკულპტურის, კინემატოგრაფიის, ქორეოგრაფიის, თეატრის, ისტორიის, არქეოლოგიის, ასტრონომიის, ფსიქოლოგიის, გეოგრაფიისა და მედიცინის ინტერესის საგნად იქცა.

მედეას სახე, რომელიც რთული და წინააღმდეგობრივია, საშუალებას იძლევა ანტიკურობიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე ტრანსნაციონალურ ჭრილში განვიხილოთ. მითოსის მიხედვით მედეა მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილიშვილი, კოლხთა მეფის აიეტისა და ოკეანაიდა იდას (ჰეს. თეოგ. 958), ან ქალღმერთ ჰეკატეს (დიოდ. 4,45) ასული, ჯერ იასონისა და მერე ათენის მეფე ეგეოსის მეუღლეა. საბერძნეთში მას თავყვანს სცემდნენ, ტაძრებს უგებდნენ და უმღეროდნენ. ევრიპიდემ იგი შვილების მკვლელ დედად აქცია („მედეა“ ძვ. წ.აღ.431 წ.) და, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, საუკუნეებს გაუძლო და კიდევ უფრო ახლობელი, მიმზიდველი და შთაგონების წყარო გახდა მრავალ ქვეყანაში. შედარებითი ლიტერატურის მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს მედეა განვიხილოთ მრავალ ასპექტში, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის, ენისა და ეროვნულ დონეებზე, სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის გადმოსახედიდან.

საკვანძო სიტყვები: მედეა, ტრანსნაციონალური, ინტერდისციპლინარული, არქეტიპი, პლურალიზმი

მედეა-კოლხი ქალი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ დრამატულ გმირს წარმოადგენს. საკმარისია დღეს ვინმემ ჩაატაროს ელემენტარული სოციოლოგიური გამოკვლევა ევროპულ მწერლობასთან ნაზიარებ ნებისმიერ ქვეყანაში იმის გასარკვევად, თუ ვის თვლის ფართო მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე მეტად ცნობილ სახეებად, რომ მედეა უთუოდ პირველ რიგში იქნება დასახელებული. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან დაკავშირებული ვერც ერთი ლიტერატურული თუ მითური პერსონაჟი ვერ გაუტოლდება ამ მხრივ მედეას. მედეა ქართველებისათვის კიდევ უფრო განსხვავებულ და გამორჩეულ გმირს წარმოადგენს, ვიდრე მსოფლიოს ხალხებისათვის, მედეას პერსონაჟმა საზოგადოების აზრი რამდენიმე ნაწილად გაყო, მედეა გააზრებულია ხშირ შემთხვევაში როგორც გმირი, ან ანტიგმირი და გარემოების მსხვერპლი ქალი, მაგრამ რომელი მათგანი შეგვიძლია ვუწოდოთ ქალს რომელმაც მთელი ეპოქის ლიტერატურული დრამა თავდაყირა დააყენა. ალბათ,

სწორედ მედეას მისტიურობა და იდუმალება აღძრავს საუკუუნების განმავლობაში ინტერესს, ის იზიდავს კაცობრიობას და მასთან ყოველი შეხვედრა ახალი შთაბეჭდილებებით გვავსებს.

აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკაში" მედეა უმშვენიერესი მეფის ასული არის ღმერთების მსხვერპლი: "მედეას არსება დაბნეულობამ შეიპყრო, ეროსმა კი მაღალჭერიან სასახლის კარს კისკისით გადაუფრინა" მას თავდავიწყებით უყვარდება კოლხთა ძლიერების სიმბოლოს „ოქროს საწმისის“ მოსატაცებლად ჩამოსული ყმა, იასონი. იგი სიყვარულით დაბრმავებული ეხმარება იასონს, ღალატობს მამას, აკვლევინებს ძმას და სამშობლოს მტრებთან ერთად ტოვებს. მედეასა და იასონის სიყვარულის ამბავი ერთგვარი ჰარმონიული მოვლენაა, რომელიც თითქოს აბათილებს მედეას დანაშაულს, თუმცა მეორე მხრივ, მედეას საღად აზროვნების უნარი არ დაუკარგავა და კარგად აანალიზებს ამ ქმედების მოსალოდნელ შედეგებს. აპოლონიონ როდოსელთან მედეას სახეში გამოვლინდა ის უარყოფითი თვისებები, რომლებმაც შემდგომ ევრიპიდესთან ჰპოვეს გაგრძელება.

აკაკი ურუშაძის ცნობით, როდესაც ათენის თეატრში ეს სპექტაკლი დაიდგა, ევრიპიდე გამოვიდა ტრილოგიით და მხოლოდ მე-3 ადგილს დასჯერდა, ამის გამო ევრიპიდე იძულებული გახდა „მედეა“ გადაეკეთებინა, ჩვენამდე მოღწეულია სწორედ ეს გადამუშავებული ვარიანტი, ევრიპიდემ მოახდინა ქმარ-შვილის მოღალატე ელენეს რეაბილიტაცია, ქმრის ერთგულ ქალად აქცია, პენელოპეს გაუტოლა პატიოსნებით, ცხადია ასეთივე წარმატებით შეეძლო გაეტეხა მას სახელი კოლხი მედეასათვისაც. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მედეა სხვა არც ერთ ვერსიაში არ ხოცავს შვილებს და ამგვარი პასაჟი ევრიპიდეს გამონაგონია დრამატული წარმატებისათვის.

მედეა ინტერდისციპლინარული სახე გახდა, თავისივე ხასიათიდან გამომდინარე. იგი მრავალვარ ნიჭს ავლენს, შეგვიძლია ვისაუბროთ მედეას განსწავლულობაზე მრავალ სფეროში. უპირველეს ყოვლისა, მედეა ასოცირდება მედიცინასა და ფარმაცოლოგიასთან.

ყველაზე ცნობილი მკურნალი ანტიკურ ტრაგედიაში არის ევრიპიდეს მედეა, რომელიც ტრაგედიაში „მედეა“ უფრო მეტად ზიანის მომტანად წარმოგვიდგება, ვიდრე ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარ მკურნალად. მედეა კვალიფიციური მკურნალია, დახელოვნებული ფარმაცოლოგიაში, ჭკვიანი და თავდაჯერებული. „ვინ მოსთვლის რამდენჯერ ჭირად მიქცევია ჩემი სახელი. კაცს თუ ჭკუა აქვს, დიდ ცოდნას არ მისცემს შვილებს, რათა ხალხის შურს განარიდოს, სხვებისაგან გამორჩეულნი. აბა, გაბედე და რაიმე ასწავლე უვიცს: უქნარად ჩაგთვლის, განა მცოდნედ, ანდა სწავლულად. ხოლო თუ ცოდნით დაჩრდილე ჭკუა-გონებით განთქმულნი და სახელმორჭმულნი, იცოდე მავნედ და ხორცმეტად მიგიჩნევს ხალხი. ასეთია ჩემი ხვედრიც: ცოტა რამ მესმის, მიტომაც ერთნი ზიზღით მიცქერენ, მეორენი კი შენსავით მავნედ და საშიშად მთვლიან“ (ევრ. მედ. 135-146). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედეას ნამდვილად აქვს მიღებული განათლება, თუმცა ის სწორედ ამას მიიჩნევს იმის მიზეზად, რომ შურიტა და ზიზღით უყურებს საზოგადოება.

მედეას გააჩნია კომპეტენენტური მკურნალის ყველა საჭირო თვისება. თუმცა, ტრაგედიაში მედეა ძალიან იშვიათად იყენებს მის ცოდნას ჰიპოკრატეს პრინციპების დაცვით, ის სამედიცინო განათლებასა და გამოცდილებას სრულიად სხვა გზით მიმართავს - ადამიანთა საზიანოდ, მათ დასამახინჯებლად და გასანადგურებლად. უფრო მეტიც, ის თავის თავს ავნებს თავისივე ხელოვნებით.

ტრაგედია „მედეა“ იწყება იმით, რომ ძიძა და აღმზრდელი საუბრობენ მედეას

შესახებ და აღნიშნავენ, რომ მედეა არის ავად. პიესის დასაწყისში მედეას მკურნალად გვევლინება მისი ძიძა. ის აღწერს მედეას მდგომარეობას და დიაგნოზს უსვამს მას- მედეა არის ავად, რაც გამოწვეულია იასონის ღალატით. მედეას ავადმყოფობა მოგვაგონებს სხვა ტრაგიკულ გმირთა ავადმყოფობის მდგომარეობას: აიასის სოფოკლეს „აიასში“ (323-325), ფედრას ევრიპიდეს „ჰიპოლიტოსში“ (275-277), ორესტესის ესქილეს „ორესტეაში“ (41). თუმცა მედეას მდგომარეობა ყველა ამ პერსონაჟთა მდგომარეობიდან იმით განსხვავდება, რომ ის უჩვეულოდ გააქტიურა მისმა ავადმყოფობამ. მედეა არ მიირთმევს საჭმელს და წევს, თუმცა სხეულის პასიურობის პარალელურად ხდება მისი გონების გააქტიურება (ბარლოუ 1995: 132). ძიძა მიიჩნევს, რომ იასონის ღალატმა გამოიწვია მედეასა და მისი შვილების ავადმყოფობა (ევრ. მედ. 16-17).

აღსანიშნავია, რომ „იასონი“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს „მკურნალს“. სპენსი აღნიშნავს, რომ იასონი ადრეულ მითებში მკურნალი ფიგურა იყო. ევრიპიდე არანაირ მინიშნებას არ აკეთებს იასონის მკურნალობის უნარზე (გორდუზიანი 2009: 57-60). პირიქით, მან არაჯანსაღი სიტუაცია შეუქმნა მის ოჯახს (ევრ. მედ. 16-17).

ძიძასაც აქვს გარკვეული სამედიცინო განათლება. მას შეუძლია დიაგნოზი დაუსვას მედეას, თუმცა მას არ ჰყოფნის კომპეტენტურობა, რომ სათანადოდ დაეხმაროს მას: ძიძას არ აქვს წამალი, რომ შესთავაზოს მედეას, არც სიმღერის განმკურნავი ძალა (ევრ. მედ. 190-204), მას მხოლოდ ისლა დარჩენია დედის გამშაგებულ მზერას მოარიდოს მედეას შვილები (ევრ. მედ. 92). მედეა თვითონ ცდილობს უწამლოს თავს.

მედეა დახელოვნებულია ფარმაცოლოგიაში (pharmaka) (ევრ. მედ. 384-385) და მას ბადალი არა ჰყავს ამ საქმეში, თუმცა ტრაგედიაში ხაზგასმულია, ასევე, მისი ორატორული უნარ-ჩვევები. შურისძიებით ანთებული მედეა „რბილი“ სიტყვით ახერხებს კრეონის დაყოლიებას, რათა დართოს მას ნება, კიდეც ერთი დღე დაჰყოს კორინთოში. აქ კარგად ჩანს მედეას განსწავლულობა ორატორულ ხელოვნებაში, უნარი იმისა, რომ აწარმოოს მოლაპარაკება, დაითანხმოს მოწინააღმდეგე (ბრემერი 1997: 95-112).

ტრაგედიის დასაწყისში მედეასა და ძიძის საუბარში შეინიშნება სამედიცინო ტერმინების სიმრავლე, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი კარგად არიან გათვინებული მედიცინაში.

აგონი მედეასა და იასონს შორის სამედიცინო იდეებზეა დაყრდნობილი (ბრემერი 1997: 84). მედეა იასონის ღალატს სამარცხვინო საქციელად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ სირცხვილი კაცობრიობის ყველაზე დიდი დაავადებაა (ევრ. მედ. 471). ის აგრძელებს იასონის მისამართით შეურაცხყოფელ საუბარს, რათა „შვება“ მისცეს სულს და „ტკივილი“ მიაყენოს იასონს (ევრ. მედ. 473-474). მედეა ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რაც იასონისათვის გაუკეთებია და ბოლოს, აგვირგვინებს ფრაზით: „მე შენ გიხსენი, გადაგარჩინე“ (ევრ. მედ. 476, 515)¹⁷. ამით მედეა ხაზს უსვამს მის კომპეტენტურობას მედიცინის სფეროში (ბარლოუ 1995: 132).

იასონის საუბრიდან ვგებულობთ, რომ მედეას ავმა საუბარმა მას ნამდვილად მოჰგვარა ტკივილი (ევრ. მედ. 524- 525). იასონი ცდილობს სოფისტური დებატების ცოდნა გამოავლინოს, თუმცა არცთუ წარმატებით ახერხებს ამას (ბარლოუ 1995: 30-35). ის მედეასგან მიღებულ დახმარებას აფროდიტეს უმადლოს, რომელმაც გავლენა მოახდინა მედეაზე (ევრ. მედ. 548- 553).

¹⁷ ციტატები ევრიპიდეს „მედეადან“ მოგვყავს ბ.ბრეგვადის თარგმანის მიხედვით (1980).

ახლა უკვე იასონი გვევლინება ავადმყოფის როლში, მისი ხატება ცვლის მედეას ავადმყოფ სახეს ტრაგედიის დასაწყისში. თუკი მედეა თავს გრძნობდა „დამძიმებულად“ (ევრ. მედ. 809), ახლა უკვე შემსუბუქებულია როგორც მისი სხეული, ისე სული.

მედეა თავს გადაირჩენს სხვების განადგურებით, ის არაა დაინტერესებული „პაციენტთა“ განკურნებით.

მედეა თავს გამარჯვებულად ჩათვლის მაშინ, როცა მიუზღო იასონს თავის საქციელის გამო (ევრ. მედ. 1362) და აღნიშნავს, რომ ეს უმსუბუქებს მას ტკივილს (ევრ. მედ. 1362). მედიცინის ენის გამოყენებით ტრაგედიაში გადმოცემულია ტკივილის გადატანა ერთი ადამიანიდან მეორეზე (ევრ. მედ. 1364).

მედეა ტრანსნაციონალური გმირია. მან მოახერხა, რომ თავისი განსწავლულობა კოლხეთის საზღვრებს გარეთ გაეტანა. ანტიკურობაში დამკვიდრებული იყო ოპოზიცია-ელინები და ბარბაროსები. მედეამ მოახერხა დაემტკიცებინა, რომ უცხო ტომელსაც შეეძლო გატოლებოდა ბერძნებს გონებრივი შესაძლებლობით. თავის უცხოელობას მედეა საპროგრამო სიტყვაში ახსენებს, როდესაც კორინთელ ქალებს ქალთა სავალალო მდგომარეობის შესახებ ელაპარაკება. ქალის ხვედრზე საუბრის დროს მედეა მრავლობით რიცხვს იყენებს და საკუთარ თავსაც, ბუნებრივია, ამ ქალთა შორის მოიაზრებს. იგულისხმება, რომ, ისიც ისე იტანჯება, როგორც სხვა ბერძენი ქალები. მოლოდ მას შემდეგ, რაც ქალის ყველა პრობლემას ჩამოგვითვლის, იგი ქალთა მდგომარეობის საერთო მძიმე სურათს თავის კერძო შემთხვევას უმატებს. ეს მისი უცხოელობა გახლავთ. „მაგრამ არ შეიძლება ერთი და იგივე თქვენზე და ჩემზე ითქვას. თქვენ გაქვთ სამშობლო და მამისეული სახლი. თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ სიციცხლის სიხარულით და მეგობრებთან ერთად ყოფნით. მე კი მარტოდმარტო ვარ, არ მაქვს სამშობლო და შეურაცხყოფილი ვარ ქმრის მიერ, უცხო ქვეყნიდან ძალით წამოყვანილი. არც დედა მყავს, არც ძმა, არც მეგობარი, რომლებიც გაჭირვების ჟამს ნავსაყუდელად მეყოლებოდნენ“ (ევრიპიდე „მედეა“, 252-258).

ამ პასაჟიდან ცხადია, რომ მედეა მშვენივრად აღიქვამს თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას. მაგრამ ეს არის ის სიმძიმე, რასაც უცხოობაში ცხოვრება ჰქვია-სამშობლოს, მშობლების, და-ძმის, მეგობრების გარეშე ყოფნა, მარტოობა, როდესაც არავინ გყავს გასაჭირის გასაზიარებლად. ბუნებრივია, ქალის მძიმე ხვედრს მედეას შემთხვევაში, მისი მარტოობა ემატება. ამ სიტყვაში არაფერია ნათქვამი ისეთი, რაც საფუძველს მოგვცემდა კოლხი ქალის საზოგადოებიდან გარიყვაზე გველაპარაკა. ჯერ ერთი, თავის უცხოელობაზე მედეა ამ ვრცელ სიტყვაში მოკლედ ჩერდება. მეორეც, მედეას მიერ დახატული, მისი, როგორც უცხოელის, მდგომარეობა ძალზე წააგავს უცხო ქვეყანაში მყოფი როგოთი ადამიანის მდგომარეობას. ბუნებრივია, მისი განსაკუთრებული აქცენტი მარტოსულობაზეც. ეს ფაქტობრივი მდგომარეობით არის გამოწვეული. ანუ, იმ უკანასკნელი ახლობლის ღალატით, ვისი გულისთვისაც მან ყველაფერი დატოვა.

ამის შემდეგ მედეას უცხოელობას ხაზი იასონისა და მედეას I შეხვედრაში ესმევა. როდესაც აიეტის ასული კიდე ერთხელ შეახსენებს ქმარს, რაც მისი გულისთვის გააკეთა, იასონი პასუხობს, რომ ამ საქციელისთვის მან შესაფერისი ჯილდოც დაიმსახურა, უფრო მეტი მიიღო, ვიდრე გასცა:

„ჯერ ერთი, ელადაში ცხოვრობ ბარბაროსთა ქვეყნის მაგივრად, სამართალი შეიცანი, ისწავლე კანონებით ცხოვრება ძალისადმი პატივისცემის სანაცვლოდ, მეორეც, მრავალმა ელინმა გაიგოშენი სიბრძნის შესახებ და მოიპოვე

სახელი. ქვეყნის დასალიერს რომ დარჩენილიყავი, ვნ შეიტყობდა შენს სიბრძნეს?”(ევრიპიდე, მედეა, 536-340).

აქ კარგად სჩანს, რომ ელადაში ცხოვრება ჯილდოა, პატივია ბარბაროსთათვის . ბარბაროსებთან ბრძენად ყოფნას ფასი არ აქვს, დასაფასებელი ის არს, როცა საბერძნეთში გაღიარებენ ბრძენად. თუ ბარბაროსობას მედეას დავუკავშირებთ, შესაძლოა ვისაუბროთ ბინალური ოპოზიციის ამგვარ ინვარიანტზე: მედეა-ველური (ბარბაროსი) - იასონი-კულტურა (ბერძენი).

ტრაგედიაში დროდადრო მედეას უცხოელობას გვახსენებენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მას არავინ ექცევა როგორც ბარბაროსს. მედეას უცხოელობა მუშაობდა როგორც ერთ-ერთი საშუალება ამ პერსონაჟის გამორჩეული, სხვებისაგან განსხვავებული ხატის შესაქმნელად.

ანტიკურობის შემდეგაც არ წყდება ინტერესი მედეას ირგვლივ. მედეას თემატიკას მრავალმა ავტორმა მიუძღვნა ნაწარმოებები. ესენია: ფრანგი დრამატურგი ჯინ ანუილი (1910-1987), ამერიკელი ნოველისტი ჯონ გარდნერი (1933-1982). ამერიკელი პოეტი რობინსონ ჯეფერსი(1887-1962), ინგლისური ლიტერატურის უბადლო წარმომადგენელი ჯეფრი ჩოსერი (1343-1400), მე-20 საუკუნის ისტორიკოსი მაიკლ ვუდი (1948-), განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფრანგი დრამატურგი პიერ კორნელი (1606-1684), ასევე, ფრანგი დრამატურგი ერნესტ ლეგუვი(1807-1903),ბრიტანელი პოეტი და ნოველისტი უილიამ მორი(1834-1896), ავტორიელი მწერალი ფრანკ გრილპარცერი(1791-1872), ამერიკელი მწერალი დოროთი ჯონსონი (1905-1984), ამერიკელი საბავშვო მწერალი ჰელენ ჰუვერი(1935-2018), გერმანელი ესეისტი და ნოველისტი კრისტა ვულფი (1929-2011), მექსიკელი მწერალი ჩერი მორაგა (1952-), ამერიკელი ნოველისტი რიკ რიორდანი (1964), კერი გრინგუდი(1954-), ავსტრიელი მწერალი და სხვანი.

მედეა წარმოადგენდა და წარმოადგენს მრავალი კომპოზიტორის ინსპირაციის წყაროს. მრავალი ოპერა, მუსიკალური კომპოზიცია თუ მელოდრამა შეიქმნა მედეას თემატიკაზე. ამ კომპოზიციების ავტორები არიან იტალიელი, ფრანგი, ჩეხი,არგენტინელი, რუსი, ბერძენი კომპოზიტორები: ფრანჩესკო კავალი, ჯინ ბაპტისტა ლული, ჯორჯ ანტონ ბენდა, ოსკარ სრტასნოი, ალინა ნუვიკოვა, ელენა რაკაინდუ და სხვანი.

მედეასა და , ზოგადად, არგოვანტების თემაზე შეიქმნა არაერთი ფილმი, მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია,1969 წელს პაზოლინის რეჟისორობით გადაღებული ფილმი „მედეას მოტაცება“. ასევე, ჰოლანდიელი რეჟისორის მიერ 2005 წელს გადაღებული ექვს სერიანი მინისერიალი; 2007 წელს ტონინო დე ბერნანდმა გადაიღო „ მედეა-სასწაული“, აქ მოქმედება ხდება პარიზში, სადაც იასონი მიატოვებს მედეას..

როგორც დავრწმუნდით, მედეას თემა უნივერსალურია. ის მრავალმა ეპოქამ შეისისხლხორცა, მრავალმა მსოფლმხედველობამ თავის წიაღში მოიაზრა და ამიტომაც მოაღწია მან დღემდე.

ლიტერატურა

- 1.გორდეზიანი რ. „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია“, ტ.I, 2009წ. გვ. 419-446
2. გორდეზიანი რ. „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია“, ტ.II, 2009წ, გვ.164-173
3. ნადარეიშვილი ქ.,ქალი კლასიკურ ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში“ 2008წ.
4. Bremmer J. (1997). *Interpretations of Greek Mythology*. London- Sydney.
5. Barlow (1995). *Euripide's Medea: a Subversive Play?*. University of classical studies. University of London

Transnational and Interdisciplinary Aspects in the Phenomenon of Ancient and Modern Medea

**Tsereteli Vera
Buadze Nino**

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Abstract

Medea, an outstanding character of the ancient Greek mythology, destroyed the boundaries of location and highly expressed nationalism, and was formed as an archetype of the world culture.

Continuous pluralism of Aiet's daughter cut the edges completely and became an interdisciplinary phenomenon. Medea became a subject of interest for literature, music, art, sculpture, cinematography, theatre, history, archaeology, astronomy, psychology, geography and medicine. The character of Medea, that is contradictory enables us to do a research with the aspects of trans-nationalism since antiquity up to the contemporary era.

According to the myth, Medea is a granddaughter of the God of Sun, Helios, a daughter of the king of Kolchi - Aiet and Ida (Hesiod. Theog. 958) or the goddess Hekate (Diod. 4. 45), first a wife of Jason and later of the King of Athens- Aegeos. She was adored in Greece. They built temples and sang songs for her.

Euripides made Medea's character as a killer of her own children (Euripides "Medea" 431 B.C.). Paradoxically, she became more and more popular, closer and inspirational across ages in many countries.

Comparative literature methodology enables us discuss Medea with many aspects, how it was shown in many genres, languages and nations, in different countries and epochs.

KeyWords: *Medea, Transnational, Interdisciplinary, archetype, pluralism*